ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

10 დეკემბერი, 2013 წელი
თბილისი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში სასწავლო ცენტრი), წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ნინო ციხისთავი-ხუციშვილის მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, ლევან კლიმიაშვილის მიერ, (შემდგომში - მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

   წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატი–ვისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთ-თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განახორციელება, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი (შედარებითი) კვლევე–ბის, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. მემორანდუმის ამოცანები

   ზემოთ ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ:

   3.1. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს სასწავლო ცენტრის რესურსის (მათ შორის, თბილისისა და ყვარლის ოფისების) გამოყოფა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტისათვის შეღავათიან პირობებში.

   3.2. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტისათვის და მისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება.

   3.3. მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები;

   3.4. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

5.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით;

5.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები:

მისამართი : გორგასლის ქ. 24,
თბილისი, საქართველო 0114

ტელ: (+995 32) 2 93 22 50
ელ-ფოსტა: ntsikhistavi@justice.gov.ge
ვებგვერდი:http://www.tcj.gov.ge

მის: კოსტავას №77
ქ. თბილისი, საქართველო.

ტელ: (+995 32) 2 36 53 50
ელ-ფოსტა: klimlevan@gtu.ge
ვებ-გვერდი: www.gtu.ge

ცენტრის დირექტორი:

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე:

ლევან კლიმიაშვილი